

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
დადგენილება №--

16 დეკემბერი 2022 წელი

ქალაქი ბათუმი

**„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი 63-ე მუხლის საფუძველზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.**

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის N8 დადგენილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართის 1-ლი და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საკრებულოს წევრის (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ოდენობა (ზღვრული ოდენობა) არ აღემატება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს მაქსიმალური ოდენობის 15%-ს და ანაზღაურდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თვეში არაუმეტეს 900 (ცხრაასი) ლარისა.

3. საკრებულოს წევრს (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით ყოველთვიური ხარჯები ანაზღაურდება შემდეგნაირად:

- ა) ამომრჩევლებთან გამართული შეხვედრებისთვის 50% – 450 (ოთხას ორმოცდაათი) ლარი;
- ბ) საკრებულოს კომისიების სხდომებში მონაწილეობისთვის 25% – 225 (ორას ოცდახუთი) ლარი;
- გ) საკრებულოს სხდომებში მონაწილეობისთვის 25% – 225 (ორას ოცდახუთი) ლარი.“.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 1 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე:

რამაზ ჯინჭარაძე

# გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

## პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

### ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

### ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი:

წინამდებარე პროექტის მიღება ითვალისწინებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ოდენობის გაზრდას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

### ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ხარჯები გათვალისწინებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტით.

### გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

### დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზა-ცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

### ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილება.

### ვ) პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისია.

### ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე